



— კი, მაგრამ, უველას სპარტველოში წასვლა რატომ გინდათ?
 — იმ, უფალო, მრავალპარტიულობაა!
 ნახ. ვ. კუციასი

ჩვენთვის სამსმლონო მწიკეები!

საქართველოში ახლად შექმნილი პარტია — „ბრძოლა არსებობისათვის“ და კოოპერატივების მთავარი გაერთიანება — „მოდო, ნახე და იცანი!“ — 31 დეკემბერს, საღამოს 18 საათზე, თბილისის სახელმწიფო ცირკში აწყობს გრანდიოზულ საახალწლო ზეიმს. გათამაშდება ლატარეა. მოგებაშია 112 ათასი მანეთის ღირებულების ნივთ-მოგებანი პროდუქტებისა და მედიკამენტების სახით.

ლატარიის დამთავრების შემდეგ გიწვევთ არენაზე გიგანტურ ნაძვის ხესთან, რომელიც მორთული იქნება სხვადასხვა ფერისა და ზომის ჩამოფასებული საზაფხულო ტანსაცმელებით, ფეხსაცმელებითა და თავსაბურავებით. ნაძვის ხის მორთულობანი უფასოდ დაურიგდებათ 1905 წლის რევოლუციის მონაწილეებსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში თავდადებულ მებრძოლებს! ზეიმი განმეორებული იქნება სიმღერებითა და ცეკვებით. მოწვეულნი არიან საქართველოს მაღალხარისხის მონღერალთა გუნდები და სოლისტები. შესრულდება ხალხური სიმღერები და არიები ოპერებიდან („ნეტავი, გამაგებინა!“, „აღზევანს წაველ“, „სუფრაჲ, გაშლილო!“, „ტილო წუთისოფელო!“, „ჰეინტი ყველის ჭამა მიყვარს“, „კაცსა სტუმარი ეწვიოს“, „მაროს ტირილი“ და სხვა).

სითი“, „სიმსუქენ ხალხის მტერია!“, „უძრობისა და ურძეობის პერიოდები“, „მიხედეთ კბილის ღრუს!“ და სხვ.).

გასასვლელ კარებს დაიცავს მილიციის გაძლიერებული კორპუსი! თუ ბედმა გაგიღიმათ და ვერაფერი მოიგეთ, გულს ნუ გაიტეხთ. ხელმოცარული არავინ არ დარჩება: ზეიმის უიღბლო მონაწილეებს გადაეცემათ სოფლის ქათმის თითო კვერცხი!

ორგკომიტეტმა გაითვალისწინა მოქალაქეთა კარებიდან გასვლის სირთულე და გადაწყვიტა, კვერცხები დაარიგოს მოხარშული სახით!

მადლობას ვუხდით ქალაქის საზღვრებს, მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების ტრესტებს და მთავარ სააფთიაქო სამმართველოს პროდუქტებისა და მედიკამენტების სახელმწიფო ფასებში შესყიდვისათვის!

პარტია „ბრძოლა არსებობისათვის“

კოოპერატივანება „მოდო, ნახე და იცანი!“


იჩქარეთ, ნუ დააყოვნებთ, დროულად შეიძინეთ ლატარიის ბილეთები!

სულიკო წაცუგიაძე

თქვენ უზავილიათ მოიგოთ:

- ზეთი (არარაფინირებული) — 1 ლ.
 - ძმარი (შერბილებული) — 2 ლ.
 - ყველი (გადამლაშებული) — 1/2 კგ.
 - ხორცი (გაქვავებული) — 800 გრ.
 - მარილი (უხეში) — 1 კგ.
 - ასანთი (ცეცხლგამძლე) — 5 კოლოფი.
 - ბრინჯი (ნახევრად დარჩეული) — 2 კგ.
 - ლობიო (დანაივებული) — 700 გრ.
 - ძეხვი (ცხვრის) — 600 გრ.
 - სოხისი (ღორის) — 900 გრ.
 - მდოგვი (უცხარესი) — 100 გრ.
 - კვერცხი (გამოხაჩეკი) — 10 ცალი.
 - სამარკო ღვინო „ჭერეთი“ — 2 ლ.
 - კორვალოლი — 2 შუშა.
 - ანაღგინი — 8 აბი.
 - ციტრამონი — 10 აბი.
 - მალის დამკარგავი აბები — 100 ცალი.
 - ბავშვის მატყუარა საწოვრები (სხვადასხვა ფერის) — 8 ცალი და სხვ.
- ლატარიის ბილეთები გაიყიდება 30 და 31 დეკემბერს ქალაქის ყველა საგაზეთო ჩიხურში დილის 8 საათიდან დღის 17 საათამდე. ღირებულება 12 მანეთი. იქონიეთ პასპორტები!

ფოიეში გაიყიდება სამეცნიერო და პოპულარული სახის დიდძალი ლიტერატურა წიგნებისა და ბროშურების სახით („უცხოური კერძების სამზარეულო“, „ვიაროთ ფე-





იზღეზა ტივი, იზღეზა!..

ნუგზარ აფხაზაძე

საქართველო დღეს

ვერ შვებირღებთ!

ძმანო და დანო, ეღებ
ვერ ღაგპირღებთ ვერც ერთს
მომავალ ახალ წელსაც —
ცხრაას ოთხმოცღაღერღებთ!

სიმღიდრეს ვეღარ ვბეღავ
ჩვენი მთისა და ველის,
ეღეში კი არა და,
მართლა ბაზარი გველის!

საბაზრო ეკონომიკის
სჯერა მართოდენ ჩერჩეტს!
უფრო მოვუჭერთ ქაღრებს
ცხრაას ოთხმოცღაღერღებთ!

რა გამოავსებს, ნეტავ,
ამ გამოფხეკილ დაღლებს?!
კაცი ბაზარში შვევა
და ხელს ვერაფერს ახლებს!

ფული ყვეღას აქვს ბლომად,
ძმანო კოღეგავ, შენს მღეტს!

ასე იქნება ზვღაც —
ცხრაას ოთხმოცღაღერღებთ!

შამპანურების ნაცვღად
მოგაჩერებენ საცობს,
ვერსად წავუვღალთ, აღბათ,
„კაპრატღეღების“ ღვარცოფს!

ეზ, ძმანო ჩემნო, ეღებ
ვერ ღაგპირღებთ ვერც ერთს
მომავალ ახალ წელსაც —
ცხრაას ოთხმოცღაღერღებთ!

მერე იკითხა!..

ორ აგურს თუ ვერ იშოვი,
იქნებ, იშოვო ორი ქვა —
კარს მოგვღგომია, ძამია,
საბაზრო ეკონომიკა!

ზვღინღელი დღის კონტური
ბაბიღონურ კოშკს მაგონებს —

ვისაც რის „ღიღობორი“ აქვს,
იმ ფასს დაღებს საქონელს!

ახლა რომ წელზე ფეხს იღვამ
და თავი გაგაქვს წვღლებით,
მერე იკითხე წანწალი
და კარაბეტას ვღლები,

როცა გახღება უეცრად
(თუ არ მატყუებღ გუმანი)
საქონლის ხორცი — ორ მოცი,
კიღო ქათამი — თუ მანი!

სამოთხედ მოგერჩვენება,
რაც საღღეისოღ გაწუხებღს,
ვერ გაეჭვეღი ზვღ და ზეზ
სბეკულაციის მარწუხებღს!

ორ აგურს ძნელად იშოვი,
ჰოღა, იშოვე ორი ქვა —
კარს მოგვღგომია, ძამია,
საბაზრო ეკონომიკა!

მასწავლებელი, ჩემს ბავშვობაში, რა გულისფანტკალით ველოდი ხოლმე ახალი წლის წინამდებარე, დედა ხალისიანად ამზადებდა ათას ნუგბარ რამეს, მამა კი უხვი სუფრის მოლოდინში ზღაპრად გვიყვებოდა ძველისძველ ამბებს.

ახლა კი, სახალწლოდ, ვერ ვიშოვეთ თაფლი საგონიანე და სიძვირის გამო საცივისათვის ნიგოზიც კი ვერ დავნაყეთ!.. დედა დანააღესილი ელოდა გაყინული ქათმების გაღობას და სინანულით იგონებდა თავის გარდასულ ბალობას.

მერე მამამ სიგარეტის მაგიერ კბილებშუა მოიქცია მაკარონის ღერო და ასე მოგვითხრობდა ამბავს სახობოს, ფანდურზე სასიმღეროს.

უძრავობის წლები იღვანო, დრო, როცა პოლიტიკურ სარბიელზე ვერ ვმოძრაობდით და ლამის იყო, უძრავობით დავობდით. უძრავ რესპუბლიკაში შემოდიოდა აურაცხელი საქონელი „ლევი“ და არავინ იყო ამ უშრეტო წყაროს მიმკვლევი.

იყო მოდაში მოხელეთა კორუპცია და მუნდირიანების კანონის სავარძლიდან გადმოხიზება, კერძო მეხაყთროების შკაცრი აკრძალვა და პირქვე ფულების ჩუმი გამოძალვა.

ხოლო ემტერებოდა ხავზე ჩიბებებს, სალაროებს, საწყობებსა და ბაზებს შემოწმებულ-მარბიელთა ჯარი, დამხვედურნი კი იმოსებოდნენ რკინა-ფულადის აბჯარით.

ერთხელაც პარტახტის რაიონის სახალწლოდ კარს მოადგა შემოწმებულ-მარბიელთა გაძლიერებული ჯგუფი, რათა ადგილობრივ საქმოსნებთან კალმებითა და აქტის ბლანკებით გაემართათ ხანგრძლივი ჯგუფი და გამარჯვების შემთხვევაში სახალწლოდ შინ წაეღოთ ბლომად მათუთი.

როგორც კი პარტახტის რაიონის ძალებმა საგანგაშოდ თითო დაიყუფეს, მაშინვე თავის ძალებს ერთად მოუყარა თავი აქაურ ფულიანთა მეფეთ მეფემ.

გადწყდა, სწრაფად აესხათ რკინა-ფულადის აბჯარი და გზების ჩახახრვად ასე აეწეწათ ყველა საკანტორო წიგნი და დავთარი, რომ გაკვირვებულ რევიზიას აქვე დახდგომოდა ზამთარი.

იგარძო რა ეს მთავარმა რევიზორმა, ბრძოლის დაწყების წინ ანება ადგილობრივ ფულიანთა სათითაოდ გამოწვევა სახსარეზოდ და საამისოდ შეარჩია რევიზორის საქმიანი ეზო. გამოდგა საწერი მაგიდა აივანზე და ყველას სიტყვას უგდებდა ბანზე. იმუქრებოდა, ამდენ დაუმონტაჟებელ დანადგარს რომ ვუყურებ, ნაყიდს ვალუტაზეო, მიუხედავად სიქაჩისა, თმები მიდგება უაღუყო, მე შემოძლია, ახლავე თმებიც დავილაგო და თვალებიც დავსუქო, ოღონდ მაგრძნობინეთ, ორივე ხელით რა დავშუქო!

ამოიღო რევიზორთუპირველებმა პორტფელიდან კარტი სათამაშო, სრულიად უხმარებელი დასტა და დაღო გახსნილად ცარიელი საკვირეო მაგიდასთან. განაცხადა, თუ რომელიმე თქვენგანი ახსარეზობაში, თუნდაც ოდნავ, კარტს შემახებსო, საკვირეოსაც აქ დავტოვებ და სარევიზო აქტების ბლანკებსაც აქვე დავხვევო, თუ არადა, ეს საკვირეო გახდება თქვენი მათუთის მახეო!

შიშით პარტახტი დაყარათ პარტახტელებს, ხოლო ფულიანთა მეფე პროვოკაციულად შლიდა ხელებს.

ხოლო გულდაგულ მიეჭრა მომხვედურს პირველი პარტახტელი, მასაც ხელში ეჭირა კარტის ახალი დასტა და ისე შედგა სახსარეზო მაგიდასთან.

ორივემ ერთდროულად არია კარტი და ზურგსუკან გაიტანეს ხელის სწრაფი ნავარდით.

— ახლა ვნახოთ, ვისი გაჭრისო! — ომბიანად დასტყვიდა მომხვედურმა და კარტი ორღესულივით იშინებდა ხელუკუღმად.

დამხვედურმაც გველისპირულივით დაახვედრა თავისი, მაგრამ დააგვიანა ერთი მუისით. რევიზორთუპირველებს აღმოჩნდა უფრო მარდი, ძირს დააგდებინა გაჭრილი კარტი.

დამარცხებულმა საკვირეოში ჩაყარა კარტის და ახიანების დასტაც და ნიწამბდარი თავისიანებისაქენ წაღასლანდა.

ახლა მეორე გავიდა, თავისი ჩიბების მომედე, თან ძლივს მიათრევდა ჩახუქებულ გვერდებს. მოწინააღმდეგეებმა უშალ არივს კარტის დასტა და პირისპირ დადგნენ მაგიდასთან. ზურგსუკან ეწყოთ და ორივეს ხაფუღედ ექავებოდათ ხელისგულები, მერე კი იძრებს კარტები, ვითა პრიალა ორღესულები.

რევიზორთუპირველებმა იმძაჟრეს კვლავაც და დაიჭინინა დამხვედურის გულმოსაკლავად.

დამარცხებულმა საკვირეოში ჩაუძახა ფულების დასტას და თავჩაქინდრული ბრძოლის ველს გასცდა..

— ამთ წახდენას განანებო! — გავიდა მესამე, გავიდა მეოთხე, გავიდა მეხუთე, მომხვედური კი ყველას ხციცვლავდა მათუთებს.

— შემდეგი ვინ არისო? — ტალღებულად ყვიროდა ხტომარი და მის თავხედობას ვერავინ დაუღო წღვარი.

შეკრთნენ, შეშინდნენ პარტახტელები და სახობით მალდა ადაპურებს ხელები.

— ნიკოლოზი ხად არისო? ნიკოლოზი მომგვარეთო! — იბღავდა ფულიანების მეფეთ მეფემ და თან დამალ იატაკზე აბრახუნებდა ფეხებს.

ნიკოლოზ გოსტაშვილი ამ დროს „ობებების“ მუშაკებთან გამართულ ხელჩართულში ყანწს ატრიალებდა. მეფის დაძახილზე ყანწი დაბერტყა, „ქინძმარულით“ დაწინააღმდეგეული „დუბლიონის“ კალთა ჩამოიფრთხა და უშალ გაჩნდა თავისი მზრძანებლის მობრახუნე ფეხთან.

— ამ სახალწლოდ მომხვედურმა რევიზორმა ხულ დარჩეული ვაჟკაცები წამიხდინა და ისევე შენ უნდა მიწეღო! — შეხცინა მეფემ და მხარზე ხელი დაჭრა, — შე ძველო!

გოსტაშვილი უკვე ჰადარაშერეული, სამჯერ ნახმართლევო კაცი იყო. მან ერთი კი შეათვალღერე კარტებით მოჟონგლიორე რევიზორი და უარი შეხადრა მეფეს:

— კაცი კარტებით ვარსკვლავებს ეთამაშება და მე მაგასთან როგორ მიმხვედბო? თანაც თანამდებობიდან სამჯერა ვარ მოხსნილი და რევიზორის მოგვრეობაში ნაკლები მიდევს წილი!

— ოღონდაც ახლა მიდი, ჩვენი შიში მაგ რევიზორმა არ გაიგოსო! — წახსურჩულა მეფემ, — დაწინაურება ერთ კვირაში ჩემზე იუოსო!

გოსტაშვილი მისვლა არ აცადა რევიზორთუპირველებმა, უშალ ხელუკუღმად კარტი იძრო, როგორც კი მისი ხმა შეესმა, — ჯერ ჩემთვის გერავის აუფრენიო ბუნი! — შეხაბა ნიკოლოზმა და უშალ შუბლივით აძგერა ჯვრის ტუნი.

რევიზორმა თვალები დახუჭა, უურბში თითი დაიცო, აღარ სურდა გოსტაშვილის ხაფი ხმის გაგონება, ნიკოლოზმა კი ჩამოქილ რევიზორს ზედ გადააღაჯა და ტუშები გაუკეთა ზინია „პაგონებად“.


აქ საბოლოოდ წახდა მომხვედური, კარტის ჩითვაში ნაქები და ერთი ხელის მოხმით დახია სარევიზო ბლანკები. მათუთით ხავსე საკვირეოს ზურგი აქცია და ლამის იყო ამით დაამთავრა ეს სახალწლო აქცია.

გოსტაშვილი ჩამოქილი რევიზორი წამოაუენა, თავისკენ მოაბრუნა და ომბიანად დაიბუხნა: — აიღე, მთლიანად მიჩუქნია ჩემი მონაგები, მე არა ვარ ამის შინ წამლები!

გაკვირვებისგან ერთხანს პირღია იღვა რევიზორთუპირველებს, მერე ძლივს დაძრა ენა და აღმოხდა მას ეს სიტყვები, ვითა ლექსი:

— დალოცვილ იყავ მიწისაგან და ცისაგანო, თუ ამდენ მათუთს ვიჩუქებდი, მხოლოდ შენისთანა ვაჟკაცისაგანო!

მერე მიბრუნდა, ძლივს ააცილა დედამიწას გატენილი საკვირეო და ამით დამთავრებულად ჩათვალა თავისი ბრგადის სახალწლო ვოიაჟი.



პენსიონტური საახალწლო

1989 წელს შეეცადა და „ნიანგში“ ოპტიმისტური სა-
ახალწლო ლექსი გამოვაქვეყნე. ჩემი მაშინდელი და, როგორც გა-
მოჩნდა, უხალუძველო ოპტიმიზმისთვის მკითხველს ბოდიშს ვუბლი
და ამ ლექსის პენსიონტურ ვარიანტს ვთავაზობ.

დიდო გარდაქმნავ, ამ მეექვსე ახალ წელსაო
ველარ მივმხვდარავარ, რანაირად გახვალ წვერსაო?!

კანონთ კრებულში, როდი მჭერა, ახალ წელსაო
ჩვენს სასიკეთოდ შეცვლილს რასმეს ვნახავთ წვესაო!

არა მგონია, რომ გავიგოთ ახალ წელსაო:
ჩვენს გასალანძლავს ცენტრის პრესა აღარ წერსაო!

მე შეეპეება, ვერ ვხედავდეთ ახალ წელსაო
გადაგდებულ და ჟანგისაგან ნახრავ ცელსაო!

არც ის მგონია, რომ მოვესწოთ ახალ წელსაო:
დეფიციტური საქონელი დახლსა ძვესაო!

იმასაც ვეპვობ, დაგვებდოს ახალ წელსაო
პროდუქტთ სიუხვე — არ გვეღირსა რახან ძველსაო!

რა ვქნა, ვერ ავწევ კმაყოფილი მალა ცერსაო,
რადგან სასწაულს არ ველი არც ახალ წელსაო!..

ქირუ ლელია

გლახი კაცის საფლავზე თქმული ლექსი

ვუძღვნი ბიძაჩემს

რადგან მწვადე პრობლემები მაკეშირებს გამრჯე ხელთან,
თუმცა გვიან, მაგრამ მაინც ვისაუბრო, მინდა, შენთან!
ქვეყნის, ვეებერთელასი, საარსებო იყავ წყარო!
ჰა, მოვედი შენს საფლავთან, რათა ქელი მოვიხარო!
შრომის სიყვარული შენში მალლა იდგა ყველაფერზე,
შენი ჯადით, ჩვენ კი არა, საბჭოეთიც იდგა ფეხზე!
უძრავობის წლები იყო, რა ვიცოდი შენი ფასი,
დიდი ბედლის ამვსებელი, გამოვილო ცეცხლის ალში!
ბედელს არა დაჰკლებოდა, — სასთუმალზე თავს არ დებდი,
ორთუმნიან პენსიონტვის ათმაგ შრომას იმეტებდი!
სოფლის კაცი იყავი და, რა თქმა უნდა, მიწას ძმობდი,
შენი წაბლა ხარებით და „მაზოლებით“ ამაყობდი!
თავისუფალ საქართველოს გზები მოჩანს გასაყარი, —
დღეს რომ მიწას უმკურნალოს, გლეხკაცს მისცეს გასაქანი!
რამ დაახშოს უკვდავება, ან სიტყვები საქებარი,
მუშაკაცი დღესდღეობით დაგვრჩა სანთლით საქებარი!
ვის ვუსმინოთ, არც კი ვიცით, იქით შტერს თუ აქეთ ქვიანს,
არაფერი მოაქვს ამ ჩვენს გარდაქმნას და დროშის ფრიალს!
თურმე დიდი ყოფილხარ და უმნიშვნელო სხივად კრთოდი!
არ მეგონა, ტალონიზმით დღევანდლამდე მოვიდოდი!
განმკითხავი არვინაა, ვისთან აღდგრა სარჩელია?!
იმედით რომ კაცი ცოცხლობს, — მხოლოდ ესლა დამრჩენია!

თენგივ სულაბერიძე
(პ. ბათუმი)

გაყმაჩროს ახალი წესი!



ხორცი თვალისმომკრელად ქათვებდა.. რომ ვერ ვყიდულობ, ცქერით ვერთობი ხოლმე, — უფეხო კაცი რომ ფეხბურთის ცქერით ტყებდა, — დაახლოებით ისე!

არ მომჩვენებია: გამყიდველმა (ყასაბმა) თვალი ჩამიკრა.

— მოდი, რა, ძმოჯან, ვერა ხედავ, რა ჯილაა?! უმაღ იჭმევა, რალა! ჰამაც, ურგოდ!.. ვააა!..

ბავშვობაში პირში თითის ჩაღებას მიშლიდნენ, მაგრამ გავიკვირე, „ინსტრუქცია“ დავარღვიე!..

— ვაა! თითი რათა?! ხორცი აიღე, ჯივარ!

— ამიწონე ერთი კილო! — ვიგრძენი, რომ შარვალი მეცვა და ქამარიც მერტყა.

— ერთი რათა?! შეიღები არა გყამს?! სამი წაიღე, ოქრო!

მივიხედ-მოვიხედე. არავინ ნაცნობთაგანი არ იღდა და გამყიდველს მაინც ყურში ჩავჩურჩულე:

— შენი ოხერი დედაც!..

— მაიცა! — გამაჩერა ღიმილით. — აი, ძმო! — გადმოიღო ჩანგლიდან და ტყუპანით დადო სასწორზე.

— სამი კილოა და ოდნავ ნახევარი! სულ სამი მანეთი!

— კილო მანეთი?! — ამომვიდა რომელიღაც ნერგი თავზე!

— მა, რა გეგონა?! განთავისუფლებულ საქართველოში მეტად გინდოდა გეყიდა?! აი, შე ნაძირალავ, მოიტა სამი მანეთი და გაქრო!

მე გაეჭრი!..

— მაიცა, სად მიდიხარ?! ორმაგ ქალაქში შევიხვევ, სახლში კულტურნად მიიტან!..

ისე გავვოცი, კინაღამ კაცობა დავეკარგე!.. არადა, არ ვაოცდები?!

მოკლედ, ეს ხომ დაფითრიე და ისევე შევბრუნდი.

— რადიაციანია და ასაღებ, არა?! —

— ახალი დაკლულია, ბიძაჩემო! რადიაცია რომ მოხდა, ვე ჯერ კიდევ მამამისის სათესლე პარკში ბაირამობდა!

— ბრიტვა! ბრიტვა! ბრიტვა! — გაჰკაოდა ბოშა ქალი.

— რა ღირს?

— პაჩკა 20 კაპიკი! წაიღე რა, თორემ გადაყერი! — მილიმოდ ბოშა.

წამოვიღე.

ჯიბეში ბლომად ფული შემრჩა.

„ტაქსით წავალ!“ — გაფიქრება და ტაქსიც ფეხებთან გამიქვავდა.

— შე კაცო, რაღა პირადი შოფერივით გამომეცხადე?! ვერ მაცალე, ცოტა მეწვალა?! — შევანამუსე მძღოლი.

— საქართველო განთავისუფლდა! თქვენ ნისიად მოგვესახურებით! არ მითხრათ უარი, ექვსი მანეთი მაქვს დღიური გეგმა! — ატირდა მძღოლი.

— ნუ იტირებ! — ამიჩუყდა ბოლოს და ბოლოს გული, — მეც 2 მანეთს მოგცემ, შინ მიმიყვანე!

— მე მათხოვარი კი არა ვარ! — მოუმატა ტირილს მძღოლმა.

ხალხის შემრცხვა (რაღა სულ ტირის?!).

— კაი, ხო, რა გქვია შენ?

— გრიშა, გრიგოლა! — იმედით შემომხედა მძღოლმა და ერთი ცრემლი თვალსა და ხელშუა გადაყლაპა.

— ჰოდა, გრიშუკ, მიმიყვანე შინ და მეციცი შენი პატივისცემა!

— ისევე პატივისცემა?! — აქვითინდა საწყალი.


— კაი, კაი, მიმიყვანე შინ! — გავმაცრდი, როგორც იქნა. ტაქსი საუბარი გაიმართა.

ის: — საით?

მე: — ლოტკინზე!

ის: — სულ?

მე: — აბა, ნახევარი?



ტაქსი რომ გაჩერდა, გავვოცი: მრცხველზე 30 კაპიკი და „გმადლობთ!“ ეწერა. ამოვიღე მანეთიანი. პარალელურად მძღოლმა „კალკულატორი“ დააძრო.

— ამდენი არაა, 20 კაპიკი უნდა გადაიხადო!

— ნუ იზამ, ბიძია, მაგას! ომში ხუთი გერმანელი მყავს მოკლული! — ვუჩურჩე მანეთი ჯიბეში.

— ექვსიც რომ მოგეკლა, მაინც არაფერი გამოგივიდოდა! — მომცა 80 კაპიკი ხურდა და გავარდა.

რა მრჩებოდა?! შინ ლიფტით ასეკლა! ვიცოდი, ლიფტი ერთი თვის გამოთიშული იყო. შევუდექი კიბეებს. აგერ არ დამეწია?! გაიღო კარები და „ლიფტიორშა“ შეუბნება: „მობრძანდით!“ შევედი. მივდივართ ზემოთ. ჩემი სართულიც უნდა გამოჩნდეს, უნდა გაჩერდეს ლიფტი.

— თქვენ ლიფტის ფული გადახდილი გაქვთ? — მეციხება „ლიფტიორშა“.

— რა თქმა უნდა, ქალბატონო!

— ქალბატონო არ ვიცი მე! ორი თვის გადაუხდელი გაქვთ და შეგრცხვით!

— მე შემრცხვებს?! — გადავირიე.

— დიიიიახხ!

— რამდენია?

— თექვსმეტი მანეთი!

— შენით ადექი, აპოლონ, შენით! ჯერ თვალეზი გაახილე და მერე! — ჩამესმა ცოლის ხმა.

აბაზანაში გავედი და რა გამიკვირდა, იცით? არც ცივი წყალი მოდის და არც ცხელი!..

სხვა გზა არაა, ისევე უნდა დავიძინო!.. დავიძინებ ამაღამ და ხელ ახალი წელი იქნება!

მერე რა იქნება?

მერე ჩემი ზემოთ მოყოლილი სიზმარი კი არა, სინამდვილე იქნება!


ეს მინდოდა მეთქვა! !

მისმინოს ღმერთმა!

გვწყალობდეს ღმერთი!

ამინ!

მურვან მერაქვილიშვილი



— ახალი წლიდან ეს ჩემი თანა-
შემწე იქნება!

მე ის კაცი ვარ!..

- ვილაც აშენებს წყალზე ახალ ხიდს!..
- რას ამბობ, კაცო, ხიდს მე ვაშენებ!
- ვილაც ამშვენებს სიცოცხლეს ამ დღის!..
- რას ამბობ, კაცო, მას მე ვამშვენებ!
- ვილაცა კაცზე კარგს ლაპარაკობს!..
- რას ამბობ, კაცო, იმ კაცს მე ვაქვებ!
- ვილაცამ საქმე ქნა საარაკო!..
- რას ამბობ, კაცო, მე ვქმენ ის საქმე!
- ვილაცამ ნაღდი დაწერა ლექსი!..
- რას ამბობ, კაცო, ჩემი ლექსია!
- ვილაცამ შექმნა ფილმი „სარკეში“!..
- რას ამბობ, კაცო, თავს მე მესხმიან!
- ვილაც უწმინდეს დროშას მოარბევს!..
- რას ამბობ, კაცო, დროშას მე ვარბევ!..
- ვილაც სისხლს ანთხევს საქართველოსთვის!..
- რას ამბობს, კაცო, იმ სისხლს მე ვანთხევ!
- ბოლოს და ბოლოს, ვინ ხარ შენ, კაცო?
- მე ის კაცი ვარ, სხვისით რომ ვკაცობ!

სტეფანო ლანუცა

სტეფანო ლანუცა (იტალია)

- მონა პატრონსაც კი მონურად ლანძღავს.
- კოლმეტივიზმის თაყვანისმცემლები საფლავში წოლასაც მთელ კოლექტივთან ერთად ამჯობინებენ.
- დანაფლავება. სასაფლაოში მისულთაგან არც ერთი არ აღმოჩნდა მკვდრის დონეზე.
- რაცა ხელისუფლება ერთპიროვნულად განსაზღვრავს კეშმარიტებას, ეს უკანასკნელი აზრს კარგავს.
- ჩვეულებრივ ჩვენ გვწამს ის, რაც გვაქლია.
- ჩვენ ვწერთ ისე, როგორც ვხუნთავთ, ვხუნთავთ კი ძალიან ცუდად.
- რაც უფრო გრძელდება პოლემიკა, მით უფრო შორს მიყვავართ მას არსიდან.

რედაქტორია

თარგმანი ელგუჯა მერაბიშვილმა



— ვაიბე, დედა, აქ რა მინდა?! — უცებ ამოიღვა ენა ახალ-დაბადებულმა ბავშვმა.

* * *

— ღმერთო ჩემო, ამ ცარიელ დახლებსა და თაროებს ამდენი თეთრხალათიანი დარაჯი რად უნდა?! — შეიცხადა უნივერსიტეტში შესულმა ქალმა.

* * *

— აი, მესმის, ბაზარს დაეტყო ბაზრობა! — თავისთვის ჩაილაპარაკა ფაშფაშა დედაკაცმა და ოც მანეთად იყიდა ერთი კილოგრამი ხორცი.

* * *

— რა ცხვირი ჩამოგტირის, მართლა მიცვალებული ხომ არ გყავს?! — იკითხა პარტიულ ფუნქციონერთან კაბინეტში შესულმა.

* * *

— ადრე რომ მამწარებდი, კიტრის ფასი გაქვსო, თუ ძმა ხარ, ახლა მითხარი! — შეეხვეწა ერთი კაცი მეორეს და ერთ კილოგრამ კიტრში ათი მანეთი გადაუხადა.

* * *

— საინტერესოა, ზამთარი რომ მოვა, მაშინაც ასე კიბებესა და ვესტიბიულებში ჩაუტარდებათ ლექციები ამ სტუდენტებს?! — იკითხა უმაღლეს სასწავლებელში მისულმა მშობელმა.

* * *

— მაგას შენ უსმინე, ჩემო ნიკა! მე მაგისტრის ხმა არ მიმიცია! — უთხრა ერთმა ამომრჩეველმა მეორეს ტელევიზორში გამოჩენილ დეპუტატზე და ოთახიდან გავიდა.

* * *

— გადამრევს ეს კაცი პირდაპირ! დედას გეფიცები, რომ ამ ფოტოზე ნამდვილად შენ ხარ გამოსახული! თუ დამიჯერებ, იმ დღეს შვიი პიჯაკი შენ გეცვა! — გაიხსენა ბედნიერმა ფოტოგრაფმა სურათის გადაღების დრო.

* * *

— ჩემო ძმაო, გამაგებინე მაინც, სად ვარ, თუ საპარკმახეროში ვარ, მაშინ აქ ქირურგს რა ესაქმება?! — სკამიდან წამოხტა სახედასერილი კლიენტი.

* * *

— შიმშილის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასე ხანგრძლივი და ასე ყველას მომცველი არსად არაფერი მინახავს! — გაიკვირვა კომუნისტური იმპერიის მოქალაქემ.

შეადგინა რამავს ლორიამ



ნახ. ჯ. ლოლუსანი

ერთი წელიწადში გამდიდრდა!..

ერთი ვანელი მოხელე უნდა გავაცნო
 მკითხველებს —
 ადამის მოდგმის ავ-კარგის განმსხვავებლებს და
 განმკითხველებს!
 ვიტალის ერთხელ წამოსცდა: „ზოგ-ზოგის შარი
 მოცეხს,
 ტელეფონი რომ რიგში მდგომს დავუდგა, იგი რას
 მომცემს?!“
 ამიტომ ისეთს დავუდგამ, ვინაც რიგით არ ეკუთვნის,
 პატივსაც ის მცემს, არა მაქვს ჭავრი რიგში მდგომ
 მეგუთნის!“
 ერთ წელიწადში გამდიდრდა დატაკი და ამბოქარი!..
 ის უანგაროდ ერთ ბიჭსაც არ წარსდგამს, ვინდაც
 მოკალი!
 ბრძენმა თქვა: ახეთ ხაქციელს უნინდისობა ჰქვიანო,
 და წამწარებს უთუოდ ღმერთი ადრე თუ გვიანო!

ისე უცრად დავლამდით, გნელში მძვინკარებით
ქალაქში

მეჩვენებელი

გულუფროსი ვთენდავით: ეს რა
ჯოჯოხეთს ვენდავით?!

თამაზ აბანოძე



შეტდომა — ან, ან ათი, სანამ არ გაუფხვა
ასანთი!

იგინებოდა ამბავი: სად შეტახესო თამბაქო?!

თითქოს იყო ნაკვანი — შემოგველია
საკონი!

შემოგვიგარა ქარივით — შორს გაგვიგნია
მარლი!

ან ნახევარი, ან მთელი, სანთლით საქმანი
სანთელი!

ვანი, უკვალოდ გამკრალი კვერცხი, ქიხვი და
შაქარი!..


ეგებ არ გასკდეს გულით, თუკი შეგვრჩება
კურილი!



ნ.ბ. ბ. ლომიძისა

— საით გაგიწვია ამდენი ბარბი-ბარხანით?
— გასტრონომში, მაგრამ ჩვენი ლიფტის ამ-
გავი რომ ვიცი, ვაითუ, ამ საახალწლოდ დამის
გათევაშ ლიფტში მომიწიოს?!

ნ.ბ. ი. ყვინიშვილისა



წყალი უდაბნოში

საზოგადო-საბუნაველო ზღაპარ-შემაჯობნი

ალექსანდრე მაკედონელი დამწყები მთავარსარდალი იყო, როდესაც უდაბნოში ლაშქრობის დროს ახლომდებარე მუზარადით წყალი მიაღწევს (საკუთრად, რა თქმა უნდა, მთელი კასრი ჰქონდათ გადანახული).

ალექსანდრემ წყურვილით დაოსებულ ლაშქარს გადახედა და... მუზარადი მალა შემართა წყლის გადანახვად!..

— რა ადვილს აცდენს! — კბილები გააკარბუნა პარმენიონმა, — ახლებურად ვერ აზროვნებს! ეგ საქციელი ხომ ძველი არსენალიდანაა?!

— საწყალ მეომრებს უყურებს, საწყლის არაფერი გაფშავა! — მხარი აუბა კლიტოსმა. — ის კი არ იცის, ყველაზე მართალი რომ ვიჩიო!

— ალექსანდრე, ალექსანდრე! — მკლავში ხელი გამოსდეს და განზე გადაიყვანეს ფილოტამ და ანტიპატრემ, — შეეშვი, კაცო, ამ სწორხაზოვან პრინციპულობას, ცოტა უნდა გახარო ხანდახან. წააგებ, აგრე, იცოდე! მიყევი ამ ცხოვრებას, სადაც მიგიყვანს დალიე და მოიხვენე, შეტი რა შეგრჩება?! შთა და ბარე ვის გაუსწორებია?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართვის ბიუროკრატიულ მეთოდს არ გიჩივებ! ეგ რა საქციელია, რჩევას არ ღებულობ!

— რისთვის იკლავს თავს, ვინ დაუშაღლებს?! მე შენ გეტყვი, ისტორიაში ჩაწერენ ისტორიის ორდენი კი არა, ბინის ორდერი უტირს ბევრს! — ლოყებს იხოკავდა ოლიმპიადა.

— ვის ანაბარა მტოვებს, ან ბაღნებს რას უპირებს, ხალაროს ან მის წიგნაკებს მიტოვებს თუ?! მთელი ქონება მეგობრებს დაურიგა! — თმებს იბღღვნიდა სტატირა.

— არიფია, ცხოვრება არ ესმის ამ გოიმს! — იკრიკებოდნენ ზურგს უკან კრატრე, ატელე და ალკატა.

— სადაა, ბატონო, უდაბნო?! — ხაიდანდაც გამოტყვრა პერმოლაე, მთელი ლაშქარი დავარწყულეთ და თქვენ გინდათ თავი დაიხრჩოთ წყურვილით?! ვინც მას უდაბნო დაარქვა, იმას რა ვუთხარი მე! წყალი იმდენია, ერთ სულ მოსახლეზე, ბოდიში, მეომარზე, თითო ვედრო გავეციოთ და ტანს ხომ ვერ დავაბანებთ ახლა?! გაგვიცივდებიან ამ გაგანიაში!

— ზოგი ფულს და ოქროს კუბმეტრობით ზომავეს, ჩვენ კი წყალიც ვერ უნდა დავლიოთ?! — გულში მჭილი ჩაიკრა ლეონატემ.

ალექსანდრეს შემართული მარჯვენა გაუშეშდა.

— უხ, თქვე... დე-გენერატებო! — რისხვით ჩაილაპარაკა.

— რანაირი გენერალი ვარ, ბატონო, წყალიც ვერ დაწილევია ძლომაზე!

რომ იფიქრეს, მართლა არ გვიჩერებო, შუაკაცები აფრინეს ფილიპესთან, არისტოტელესთან. იქნებ მამას ან მასწავლებელს დაუჩეროს და დავიყოლიოთო! მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!

მერე შეშინებაც დაუპირეს და მაშინდელი „არაფორმალბიც“ კი მიუსიეს, კარავი აუტყვედეთო, მაგრამ მაშინ ახლანდელივით კი არ იყო. ალექსანდრემ მთითის დაღებზე ამოსწია სატევარი ქარქაშიდან და ეგრეთ წოდებული „არაფორმალბიც“ საითთაოდ გაილაღენ, აორთქლდნენ..

ალექსანდრე მაკედონელმა, რა თქმა უნდა, წყალი გადაღვარა, ის ბრძოლაც მოიგო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ისტორიაშიც ჩაეწერა!

ეს მართალი ზღაპარე ნაძვის ხის ზეიმზე უამბო შეკრებილი თოვლის ბაბუამ. ჩვენ კი უნდა დავამატოთ, რომ ალექსანდრეს შეეძლო ასე მოქცეულიყო. მან ხომ გორდიას კვანძიც ხმლით გაკვეთა.

ახლა ასე არ შეიძლება! უფლებაც არა გვაქვს არც „ფორმალბიც“ და არც „არაფორმალბიც“, რადგან სატევარს ორი პირი აქვს! უფრო რთულ დროშიც ცვხოვრობო! ამიტომ გორდიას კვანძი კი არ უნდა გაიჭრას, უნდა გამოიხსნას!

როგორ?
საპირობებისა ყველამ უნდა ვიფიქროთ!
ზეიმის დროსაც!

სოსო მაჭარაშვილი (ქ. ს ა ჩ ხ ე რ ე)



სატიროსი
სატიროსი...
(1826). დეკემბერი. გამოდის 1923 წლიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშევიკი

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ვახუა ამირეჯიბი, ნოზლი
ხართაია, რევას თვარაძე,
ჭემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნოდარ მალა-
ზონია, ალექსანდრე საშოს-
ნია, ბუქან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), კანსულ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიფრივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად
27. 11. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 19. 12.
90 წ. ქალღმერთის ზომა
60x90/8, ფიზიკური ნაბე-
ჭი ფურცელი 1,5. საად-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ-
ქის გამომცემლობა,
მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ-
№ 2532. ტირაჟი 125.000.

სურნალი გამოდის თვე-
ში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების—
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
ბუშეების — 99-02-38,
მდივან-მე მ ა ნ ქ ა ნ ი ს —
99-76-69.

სატირო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии. Тбилиси,
ул. М. Костая № 14.

ფასი 20 კაპ.

ანდექსა 76187